სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/50

ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2025

სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ელექტრონული სასწავლო ტექნოლოგიების ცენტრის ქიმიაში“ სახელის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/159 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 25 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ „ელექტრონული სასწავლო ტექნოლოგიების ცენტრს ქიმიაში“ და ეწოდოს „ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების ცენტრი ბუნებისმეტყველებაში“;
2. დამტკიცდეს ცენტრის - „ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების ცენტრი ბუნებისმეტყველებაში“ დებულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**